პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 214 (11520)
ქვირა
13
სექტემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი წარმატება

შესრულებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის, აბრეშუმის პარკისა და დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანეს კარგი მოსავალი და ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 133.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 133.000 ტონისა, — მეტი, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში, რომელიც ჩაის მოსავლის მხრივ მთელ საბჭოთა მეჩაიეობის პერიოდში რეკორდული მოსავლის წელიწადად ითვლებოდა, და ერთისამად და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ომამდელ, 1940 წელს.

კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, რომელნიც აღსავსენი არიან სურვილით ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, ვალდებულება იკისრეს სეზონის დამლევამდე დამატებით მოკრიფონ სულ ცოტა 7.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამით კი შესრულდება სახელმწიფოსათვის 140.000 ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარების ვალდებულება.

ვადამდე შესრულებულია აგრეთვე აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 38.082 ცენტნერი პარკი — 1.868 ცენტნერით მეტი, ვიდრე მთელი 1958 წლის განმავლობაში.

143 პროცენტით შესრულებულია დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა ერთიორად მეტი დაფნის ფოთოლი, ვიდრე 1958 წელს. (საქდესი).

140 ათასი ტონა ჩაისათვის

★

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

1959 წლის 11 სექტემბრისათვის

	გეგმის შესრულება პროცენტობით	
	წლიურისა	სექტემბრისა წინა თვის დანაკლისის ჩათვლით
ქობულეთის რაიონი	95,5	32,7
ბათუმის	92,9	26,2
ქედის	94,0	33,3
სულ აჭარის ასსრ-ში	**94,8**	**30,9**
გალის რაიონი	105,0	44,8
ოჩამჩირის	94,8	19,5
სოხუმის	96,5	16,7
გუდაუთის	96,8	17,6
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**100,2**	**24,4**
მახარაძის რაიონი	99,0	33,9
ჩოხატაურის	103,5	50,0
ლანჩხუთის	98,8	32,3
სამტრედიის	96,2	23,0
წულუკიძის	92,2	26,3
წყალტუბოს	111,2	58,1
ტყიბულის	132,1	76,7
ცხაკაიას	107,2	52,3
აბაშის	100,9	31,7
გეგეჭკორის	102,0	34,2
ზუგდიდის	101,2	45,6
ჩხოროწყუს	103,5	42,7
წალენჯიხის	107,2	46,9
ხობის	106,4	39,2
თერჯოლის	95,5	14,0
ზესტაფონის	110,0	66,7
ვანის	90,0	10,0
ქალ. ჭიათურა	177,4	50,0
ქალ. ფოთი.	100,0	—
სულ საქართ. სსრ-ში	**100,4**	**33,6**

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ლ. ჩხარტიშვილი ყოველდღიურად კრეფს და სახელმწიფოს აბარებს 30-40 კილოგრამ ჩაის ნედლეულს. სურათზე: ლ. ჩხარტიშვილი.
ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საკდესის ცნობა

საბჭოთა კავშირის მიერ მთვარისაკენ კოსმოსური რაკეტის გაშვების შესახებ

კოსმოსური სივრცის კვლევისა და პლანეტათშორისი ფრენისათვის მომზადების პროგრამის შესაბამისად 1959 წლის 12 სექტემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა კოსმოსური რაკეტის მეორე წარმატებითი გაშვება.

რაკეტის გაშვება მოხდა მთვარისაკენ ფრენის დროს კოსმოსური სივრცის გამოკვლევის მიზნით.

გაშვება განხორციელდა მრავალსაფეხურიანი რაკეტის საშუალებით.

რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა გადააჭარბა მეორე კოსმოსურ სიჩქარეს — 11,2 კილომეტრს წამში და მიემართება მთვარისაკენ.

12 სექტემბერს 15 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კოსმოსური რაკეტა დედამიწას დაშორდა 78,5 ათასი კილომეტრით და ამ დროისათვის იყო იმ პუნქტს ზემოთ, რომელიც მდებარეობს კუნძულ ახალ გვინეის ჩრდილოეთით.

კოსმოსური რაკეტის უკანასკნელი საფეხური წარმოადგენს 1.511 კილოგრამი წონის (უსათბობოდ) მართულ რაკეტას. მას მიაქვს კონტეინერი სამეცნიერო და რადიოტექნიკური აპარატურით. კონტეინერი, რომელსაც ბურთის ფორმა აქვს, ჰერმეტიზებულია და გაზით სავსე. მასში გათვალისწინებულია თბური რეჟიმის ავტომატური რეგულირების სისტემა.

ორბიტაზე გასვლის შემდეგ კონტეინერი სამეცნიერო-საზომი აპარატურით გამოეყო რაკეტის უკანასკნელ საფეხურს.

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის საშუალებით უნდა განხორციელდეს:

— დედამიწის მაგნიტური ველისა და მთვარის მაგნიტური ველის გამოკვლევა;

— დედამიწის ირგვლივ რადიაციის სარტყელთა გამოკვლევა;

— კოსმოსური გამოსხივების ინტენსიურობისა და ინტენსიურობის ვარიაციების გამოკვლევა;

— კოსმოსურ გამოსხივებაში მძიმე ატომგულთა გამოკვლევა;

— პლანეტათშორისი ნივთიერების აეროგანი კომპონენტის გამოკვლევა;

— მეტეორული ნაწილაკების შესწავლა.

სამეცნიერო და საზომი აპარატურის საერთო წონა კვების წყაროებთან და კონტეინერთან ერთად შეადგენს 390,2 კილოგრამს.

მთელი მეცნიერული ინფორმაციის დედამიწაზე გადმოსაცემად, მოძრაობის პარამეტრების გასაზომად და რაკეტის ფრენისათვის კონტროლის გასაწევად რაკეტაზე დადგმულია:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს ორ სიხშირეზე — 20,003 და 19,997 მეგაგერცის სიხშირეზე.

გადამცემი გამოასხივებს სიგნალებს 0,8-დან 1,5 წამის ხანგრძლივობის სატელეგრაფო ნიშნების სახით და მუშაობს იმგვარად, რომ პირველი სიხშირის 20,003 მეგაგერცის გამოსხივებაში პაუზების დროს იმპულსები გადმოიცემა მეორე სიხშირეზე — 19,997 მეგაგერცზე;

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,993 მეგაგერცის და 39,986 მეგაგერცის სიხშირეებზე.

გადამცემის სიგნალები წარმოადგენენ ცვალებადი ხანგრძლივობის იმპულსებს 0,2-დან 0,8 წამამდე. იმპულსების განმეორების სიხშირეა 1 პლუს მინუს 0,15 გერცი.

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 183,6 მეგაგერცის სიხშირეზე.

კოსმოსურ რაკეტაზე არის ალმები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გერბით და წარწერით — 1959 წლის სექტემბერი.

კოსმოსური რაკეტის ვიზუალური დამზერისათვის რაკეტაზე არის სპეციალური აპარატურა ნატრიუმის ღრუბლის — ხელოვნური კომეტის შესაქმნელად. ხელოვნური კომეტა შეიქმნება 12 სექტემბერს 21 საათსა, 39 წუთსა და 42 წამზე მოსკოვის დროით. იგი გამოჩნდება მერწყულის თანავარსკვლავედში დაახლოებით იმ ხაზზე, რომელიც აერთიანებს არწივის თანავარსკვლავედის ალფა და სამხრეთის თევზის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავებს.

კომეტის ეკვატორიალური კოორდინატები იქნება: პირდაპირი აღვლენა—20 საათი და 41 წუთი, დახრილობა — მინუს 7,2 გრადუსი.

ხელოვნური კომეტის დამზერა და ფოტოგადაღება შეიძლება ოპტიკური საშუალებებით (შუქფილტრებით, რომლებიც გამოჰყოფენ ნატრიუმის სპექტრალურ ხაზს) შუა აზიის, კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის, აგრეთვე ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის დასავლეთ ნაწილის ტერიტორიიდან.

კოსმოსურ რაკეტაზე დადგმული ყველა რადიოგადამცემი ნორმალურად მუშაობს. დედამიწის რადიოტექნიკური სადგურები იღებენ მეცნიერულ ინფორმაციას რაკეტიდან.

სპეციალური ავტომატიზებული საზომი კომპლექსის საშუალებით, რომლის სადგურები განლაგებულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტში, განუწყვეტლივ წარმოებს რაკეტის მოძრაობის პარამეტრების გაზომვა. გაზომვის შედეგების დამუშავება და მისი ორბიტის ელემენტების განსაზღვრა ხორციელდება სწრაფმოქმედ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებზე.

კოსმოსური რაკეტის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გადაცემას აწარმოებს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

წინასწარი მონაცემებით, რაკეტა დაახლოებით მოძრაობს გაანგარიშებული ტრაექტორიით, მოსალოდნელია, რომ კოსმოსური რაკეტა მთვარეს მიაღწევს 14 სექტემბერს 00 საათსა და 05 წუთზე მოსკოვის დროით.

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ადამიანის მიერ კოსმოსის გამოკვლევასა და დაპყრობაში. ამით ფართოვდება კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მშვიდობის საქმის განმტკიცებას.



აპარატურა მიმართულია მთვარისაკენ

ლაპარაკობს ქართველი მეცნიერი

გუშინ გვიან ღამით რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა აბასთუმნის ობსერვატორიას და ელაპარაკა ობსერვატორიის დირექტორს პროფესორ ე. ხარაძეს, მან თქვა:

საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მთვარისაკენ წარმატებით გაშვება ახალი დიდი ნაბიჯია კოსმოსის დაპყრობისათვის ბრძოლაში. მთელი მსოფლიო აღტაცებით ადევნებს თვალს ჩვენს ამ წარმატებებს. მოულოდნელი და განსაცვიფრებელი აქ არაფერი არ არის: ახლა მართლაც ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ფართოდ შეაღწია კარი კოსმოსში.

ჩვენთან ობსერვატორიაში დიდი სიხარული და აღტაცებაა. თუმცა აღტაცებისათვის დროც არა გვრჩება. ობსერვატორიის მეცნიერთანამშრომლებმა რ. კილაძემ, ი. ალანიამ, ა. ხატისოვმა, ს. აფრიამაშვილმა, ვ. ჭაფიაშვილმა, ლ. ქსანფომალიდმა სრულ წესრიგში მოიყვანეს მონისკური ტელესკოპი, სპეციალური ფოტოგრაფიული დანადგარი, რეფრაქტორი, რადიოაპარატურა და სხვ.

რადიოსიგნალების მიღება სალამოს 6 საათიდან დავიწყეთ. სამწუხაროდ, ეს დღეები აბასთუმანში ღრუბლიანია და ოპტიკური დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არის. მიუხედავად ამისა, ობსერვატორიის თანამშრომლები ახერხებენ აწარმოონ საჭირო დაკვირვებანი. მეცნიერული თვალსაზრისით დაკვირვების შედეგები ყველაზე საინტერესოა რაკეტაზე ნატრიუმის ღრუბლის ანთების მომენტში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი კ. პ. შ. მენონი

12 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის პოლიტიკური მოღვაწე

11 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მრჩეველი მიკი ტაკეო მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ: იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატის წევრი ნაბესიმა ნაოცუგუ, გაზეთ „ნიპონ ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი ხირასავა კაზუსიგე და სსრ კავშირში იაპონიის საელჩოს მრჩეველი-დესპანი ხოგენ სინსაკუ.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. ს. კაპიცა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია. სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1-ლ საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ამხანაგები მორის ტორეზი და ვალტერ ულბრიხტი შეხვდნენ ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და მ. ა. სუსლოვს

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი მორის ტორეზი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ისვენებენ, ა. წ. 12 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ მ. ა. სუსლოვს.

შეხვედრის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საუბრის შემდეგ მოეწყო ამხანაგური სადილი, რომელზეც იყვნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. სუსლოვი, მ. ტორეზი, მისი მეუღლე — საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჟანეტა ვერნერში და ვ. ულბრიხტი მეუღლე ლოტა ულბრიხტთან ერთად. (საკდესი).

გარაქალა თქვენს მარჯვენას

დუშეთის რაიონის ახალგაზრდობის საუცხოო თაოსნობის შესახებ

დუშეთი. (საკ. კორ). პირდაპირ საოცარია. იმ ადგილას, სადაც ახლა დუშეთის საკონსერვო ქარხნის მთავარი კორპუსია, ხუთი-ექვსი თვის წინათ რამდენიმე ხეხილისა და უბრალო ბუჩქების გარდა სხვა არაფერი იყო. ახლა კი აქ თვალსა და გულს ახარებს თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საწარმო, რომლის ძირითადი ნედლეული შვინდი იქნება და რომლის წარმადობა წელიწადში სამ მილიონ ქილას მიაღწევს.

დუშეთის მახლობლად მდებარე ტყეებში მრავლად არის შვინდი, ასე რომ აქ ყოველწლიურად შეიძლება შვინდის უამრავი მურაბისა და სიროფის დამზადება, მაგრამ ასეთი საწარმო ახლომახლო არსად იყო. ამიტომაც დიდი ხანია ოცნებობდნენ მთიელები მათაც ჰქონოდათ საკონსერვო ქარხანა.

რამდენიმე დღეში აქ პირველ პროდუქციას გამოუშვებენ. ეს თავისთავად დიდად სასიხარულო ამბავია. მაგრამ არანაკლებ სასიხარულოა, რომ ეს ქარხანა ძირითადად აგებულია ახალგაზრდობის ხელით.

რა თქმა უნდა, ასეთი დიდი საწარმოს აშენება ბევრ მუშახელს მოითხოვდა. სხვა რაიონებიდან მოწვევა ძვირი დაჯდებოდა და თანაც სირცხვილი იქნებოდა, რადგან რაიონის ცენტრში მრავალი ახალგაზრდა იყო, რომელთაც სასახელო საქმეების გაკეთება შეეძლოთ, თუ მათ სათანადოდ უხელმძღვანელებდნენ.

პირველი ქალი, რომელმაც საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე ისურვა მუშაობა, კომკავშირელი ნაზი კირვალიძე იყო.

კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანმა ცაცო ბექაურმა ყოველმხრივ წაახალისა ნაზი, მისივე ინიციატივით რაიკომში შეკრიბეს კომკავშირელები, რომელთა წინაშე გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა კირვალიძემ:

— ჩვენ ყველას გვსურს ვიმუშაოთ საკონსერვო ქარხანაში, მაგრამ იგი თვითონ არ აშენდება, საჭიროა ჩვენ თვითონ ვითავოთ მისი აგება, რაც უფრო ადრე დამთავრდება მშენებლობა, მით უფრო ადრე გავხდებით კვალიფიციური მუშები...

ნაზი კირვალიძეს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. მალე ჩამოყალიბდა მშენებელთა კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც სათავეში თვითონ ნაზი ჩაუდგა. გადიოდა დღეები, სრსხამ დილიდან გვიან ღამემდე არ წყდებოდა გოგონებისა და ჭაბუკების მხიარული ყიჟინი, თანდათანობით მაღლდებოდა ქარხნის კედლები და, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ემატებოდათ ახალგაზრდებს საკუთარი ძალების რწმენა. გავიდა ხუთი თვე, ახლა დუშეთის პეზაჟის ფონზე ამაყად დგას ქარხნის საკვამლე მილი, თეთრად გაქათქათებული კორპუსი, დამბმარე ნაგებობები. ორიოდე დღეც, და ქარხანა პირველ პროდუქციას მოგვცემს, ეს იქნება დუშელი ახალგაზრდობის ნახელავი.

ამ დღეებში ქარხნის მშენებლებს ეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ვ. ჯოვანოვი და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი კ. ი. ბარიგიანი.

ამხ. მჟავანაძეს გულთბილი საუბარი ჰქონდა ახალგაზრდა მშენებლებთან, აინტერესებდა მათი მომავალი ცხოვრებისა და შრომის ამბავი.

* * *

სურათზე: ნაზი კირვალიძე დუშეთის საკონსერვო ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი.

ჯანკისჯის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ ტანკისტის დღეს.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თავიანთი ჯავშანსატანკო ჯარებით, რომლებიც სამოქალაქო ომის სულხნად წლებში წარმოიშვნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად წითელ არმიას რომ ქმნიდა, კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა პირველი ჯავშნიანი მატარებლებისა და ჯავშნიანი რაზმების განვითარებას.

ვ. ი. ლენინის მოწოდებით „კრასნოე სორმოვოს", იფორისა და ამოს ქარხნების კოლექტივები 1919 წელს შეუდგნენ ტანკების მშენებლობას. პირველი საბჭოთა ტანკის ჯავშანს მუშებმა დაწერეს: „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხ. ლენინი". 1920 წელს ჩვენი ტანკები წარმატებით ანადგურებდნენ უცხოელ ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში, ახორციელებდა რა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ჩვენმა ხალხმა შექმნა მტკიცე ბაზა სამამულო ტანკმშენებლობის განვითარებისა და ძლავრი ჯავშანსატანკო ძალების შექმნისათვის. 1930-დან 1939 წლამდე საბჭოთა არმიის სატანკო პარკი 4,3-ჯერ გაიზარდა.

დიდმა სამამულო ომმა ცხადყო ჩვენი ჯავშანსატანკო ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობა. მთელი ომის მანძილზე ისინი წარმოადგენდნენ მძლავრ დამკვრელ ძალას ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მტრის უპირატესობა ტანკების რაოდენობის მხრივ ჩვენი ქვეყნის გმირმა მუშათა კლასმა თანდათანობით დაძლია, ხოლო ხარისხით ჩვენ მრისხანე საბრძოლო მანქანები „ტ-34" და „კვ" ომის დასაწყისშივე გაცილებით სჯობდნენ მტრის ტანკებს და თავზარსა სცემდნენ ფაშისტ ოკუპანტებს.

ომის უკანასკნელ სამ წელიწადში საბჭოთა სატანკო მრეწველობა ყოველწლიურად უშვებდა საშუალოდ 30 ათას ტანკს, საარტილერიო თვითმავალ დანადგარსა და ჯავშნიან მანქანას. სატანკო მრეწველობის 9 ათასზე მეტ თავდადებულ მუშაკს მთავრობის ჯილდოები მიენიჭა.

საბჭოთა ტანკისტები სრულყოფილად იყენენ დაუფლებულნი თავიანთ შესანიშნავ საბრძოლო ტექნიკას. სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებას, მაღალოსტატობას. მამაცობასა და სიმტკიცეს სახელოვანი გამარჯვებებისაკენ მიპყავდა ისინი.

დიდ სამამულო ომში მხედრული გმირობისათვის 250 ათასი ტანკისტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიიღო 1.142 ტანკისტმა, მათგან 16-ს ეს წოდება ორგზის მიენიჭა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ტანკისტების შესანიშნავი დამსახურებისა და შეიარაღებული ძალების ჯავშანსატანკო ტექნიკით აღჭურვაში ჩვენი სახელოვანი ტანკმშენებლების დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით 1946 წელს დაიწესა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — „ტანკისტის დღე".

* * *

წელს ტანკისტის დღე აღინიშნება საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში. სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით იბრძვიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის. წარმატებით ხორციელდება პარტიის ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ სახალხო მეურნეობის პროგრესისათვის დასახული ღონისძიებანი. დღითიდღე მაღლდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და საბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში, დედამიწისა და მზის ჩვენი ხელოვნური თანამგზავრები დღეს მთელ მსოფლიოს აოცებენ, დამაჯერებლად ცხადყოფენ ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე სოციალიზმის დიად უპირატესობებსა და ყოვლისმძლე ძალას.

განუწყვეტლივ უმჯობესდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. მტკიცდება სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, ყველა ქვეყანაში იზრდება მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების ვიზიტების მომავალი გაცვლა დიდ შესაძლებლობებს იძლევა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის.

„მაგრამ ყოველივე ამან არ უნდა მოადუნოს ჩვენი ყურადღება ქვეყნის უშიშროების განმტკიცების, შეიარაღებული ძალების ძლიერების ამაღლების საკითხებისადმი", — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში 3 სექტემბერს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა წინაშე. — არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოში აგრესიული ძალები არიან და მოქმედებენ, ვინაიდან არსებობს ნიადაგი, რომელიც მათ წარმოშობს, — იმპერიალიზმი. არ შეიძლება ჩამოვაშოროთ ყურადღება ისეთ არასასიამოვნო ფაქტებსაც, როგორიც არის გამაღლებული შეიარაღება, რაც კვლავ გრძელდება, საბჭოთა კავშირის გარშემო მრავალი სამხედრო ბაზის არსებობა, დასავლეთგერმანელი რევანშისტებისათვის ატომური იარაღის მიცემა.

ამ პირობებში ჩვენ მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ შეიარაღებულ ძალებს, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში გვყავდეს ისინი.

ჯერ კიდევ შარშან ამერიკელების სამხედრო ოლქის ტანკისტებმა გაიჩაღეს შეჯიბრება თვითეულ ასეულში ტანკის ტარების 2-3 ოსტატის მომზადებისათვის. შესრულეს რა თავიანთი ვალდებულებანი, ისინი არ დასჯერდნენ მიღწეულს და პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაიჩაღეს ბრძოლა თვითეულ სატანკო ასეულში ტანკის ტარების 3-4 ოსტატის მომზადებისათვის.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ოლქის ტანკისტებმა კვლავ გადასინჯეს თავიანთი ვალდებულებანი. ამ პატრიოტული მოძრაობის შესანიშნავი მოთავენი იყვნენ კაპიტან ამბრამენკოვის ასეულის ტანკისტები, რომლებმაც იკისრეს ტანკის ტარებია 6 ოსტატი მოემზადებინათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის წინ კაპიტან ამბრამენკოვის ასეულმა თავისი ვალდებულების ვადამდე შესრულება უპატაკა. მან მოამზადა ტანკის ტარების არა 6, არამედ 11 ოსტატი!

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია საბჭოთა ტანკისტების შემოქმედებითი ინიციატივისა და თავდადებული საბრძოლო შრომის მრავალი მაგალითიდან. როგორც მოღებულია ჩვენში დღესასწაულების დროს, ტანკისტები დღეს საყვარელ სამშობლოს უპატაკებენ ახალ წარმატებებს პოლიტიკურ და საბრძოლო სწავლებაში, დისციპლინის განმტკიცებაში და თავიანთი ქვეგანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის გაღიდებაში.

ტანკისტის დღეს დიდი წარმატებებით შეხვდნენ იმ ნაწილის მეომრები, სადაც კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანია ამხ. კუშნირი. მეომართა გაზრდილმა პოლიტიკურმა აქტივობამ თავი აჩინა იმით, რომ ბევრმა მათგანმა გამოავლინა მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები და მიღებული იქნა სკკპ და ლენინური კომკავშირის რიგებში. ამის შედეგად ყველა ქვეგანაყოფში შეიქმნა პარტიული ჯგუფები და მათი ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მუშაობდნენ კომკავშირული ორგანიზაციები. ეყრდნობოდნენ რა კომუნისტებისა და კომკავშირელების აქტიურ მხარდაჭერას, მეთაურებმა უზრუნველყვეს მეომართა მიზანდასახული სავიელ გაწვრთნილობა, წარმართეს მათი ღონისძიებანი ამ საბრძოლო ტექნიკის მტკიცედ დაუფლებისაკენ, რომელიც შექმნილია ნიჭიერი და შრომისმოყვარე საბჭოთა ტანკმშენებლების მიერ. ამის შედეგად იმ ქვეგანაყოფის ყველა მეომარი, რომლის მეთაურია კაპიტანი სინიჩკინი, თავისი საქმის მაღალხარისხოვანი სპეციალისტი გახდა. სწავლაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს კაპიტან ჩერკაშინის ქვეგანაყოფის და სხვა ქვეგანაყოფების ტანკისტებმა.

აგრეთვე ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი ოლქში სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებმა — იმ ნაწილის ტანკისტებმა, სადაც მსახურობს ოფიცერი ამხ. დოხსანიანცი. ამ ნაწილმა სახელი გაითქვა ტანკის ტარების ოსტატთა ზრდით და ქვეშეზის ისეთი წარჩინებული დამმზადებლებით, როგორიც არიან კომკავშირელები მიხალევი, მურუსიძე, ჩარიეევი, ლისიცკი, მაღლაკელიძე, ისაკბაევი და ბევრი სხვა.

სატანკო ტექნიკისადმი მზრუნველი მოპყრობით და საწვავის ეკონომიური ხარჯვით ოლქის ტანკისტებმა მრავალი ათასი მანეთი შეიტანეს „შვიდწლედის კომკავშირულ ყულაბაში". ისეთ მოწინავე ტანკისტთა სახელები, როგორიც უმცროსი სერჟანტი ბორისოვია, ფარითოდ არის ცნობილი შეიარაღებულ ძალებში. მათს გამოცდილებას სწავლობენ და სწრაფად ავრცელებენ.

ჩვენს ხალხს, რომელიც დღეს განსაკუთრებულ პატივს სცემს თავის ერთგულ შვილებს — საბჭოთა ტანკისტებსა და ტანკმშენებლებს, შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ სატანკო ქვეგანაყოფების მეომრები მიღწეულ ზღვრებზე არ შეჩერდებიან. ისინი ყველაზე დაუღალავად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, განამტკიცებენ კომუნისტური მშენებლობის სადარაჯოზე მდგომი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას.

გენერალ-ლეიტენანტი.
ივ. პავლოვსკი.

საზეიმო კრება თბილისში

12 სექტემბერს ოფიცერთა სოლკო სახლის პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა მშრომელთა საქალაქო საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ფაბრიკებისა და ქარხნების, ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტი ახალგაზრდობა, საბჭოთა არმიის მეომრები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ.

მოხსენება ტანკისტის დღის შესახებ გააკეთა გენერალ-მაიორმა გ. პ. იაკიმოვმა. მან ილაპარაკა სახელოვანი საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების გმირულ საბრძოლო გზაზე, საბჭოთა მეომრების მამაცობასა და გმირობაზე.

აღნიშნავენ რა ტრადიციულ დღესასწაულს, — თქვა დახარულ მომხსენებელმა, — მეომარი-ტანკისტები სულითა და გულით უძღვნიან მადლობას კომუნისტურ პარტიას ჩვენი დიადი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებზე ზრუნვისათვის. ისინი ყოველთვის მზად არიან პირნათლად შეასრულონ სამშობლოს ყოველი დავალება.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზაგორის" საპატიო წოდებების დაწესების შესახებ

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის წახალისების მიზნით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და თავდაცვის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის განვითარების საქმეში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" საპატიო წოდება ოქროს სამკერდე ნიშნის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" გადაცემით.

2. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდება ვერცხლის სამკერდე ნიშნის „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" გადაცემით.

3. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდებათა შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" სამკერდე ნიშნების აღწერილობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1959 წლის 11 სექტემბერი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით

დებულება

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზაგორის" საპატიო წოდებათა შესახებ

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" საპატიო წოდება მიენიჭებათ ცალკეულ პირებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე ან განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოგონება, რომელთა დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდება მიენიჭებათ ცალკეულ პირებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე ან განსაკუთრებით თვალსაჩინო რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდებებს მიანიჭებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წარდგენით საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭებათ „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" ან „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდება, გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის სიგელი და შესაბამისი ოქროს ან ვერცხლის სამკერდე ნიშანი.

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

1. **ალშიბაიას** პართენ ყარამანის-ძეს — ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის აგრონომს
2. **ბაირამიანს** ასტვაცატურ გეორგის-ძეს — მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს.
3. **ბაკურაძეს** იოველ კიმოთეს-ძეს — ამბროლაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს
4. **ბახსოლიანს** გიორგი გრიგოლის-ძეს — ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
5. **გამყრელიძეს** ალექსანდრე დიანოზის-ძეს — „სამტრესტის" სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროს აგრონომს.
6. **გიგაურს** ივანე დავითის-ძეს — გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის დარგმლივ აგრონომს (შაქრის ჭარხლის დარგში).
7. **გოროზიას** დიონისე ტოტიას-ძეს — გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
8. **გუგუნავას** ქესკინ ხუსეინის-ძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის კვირიკეს ცენტრსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
9. **დგვეფაძეს** მამანტი ივლიანეს-ძეს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
10. **დეკანოსიძეს** გიორგი სეფეს-ძეს — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების" აგრონომს.
11. **დემეტრაძეს** არჩილ გიორგის-ძეს — საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
12. **დონდოლაძეს** გრიგოლ სერგის-ძეს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
13. **დუმბაძეს** ზაქარია რაჟდენის-ძეს — მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს
14. **ებანოიძეს** იოსებ მალაქიას-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიშიანი მეთესლეობის მთავარ აგრონომს.
15. **ზედგენიძეს** ირაკლი სოფრომის-ძეს — წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს.
16. **თავიდაშვილს** იაკინთე ერასტის-ძეს — რესპუბლიკური თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს.
17. **თოდუას** არჩილ ანდრიას-ძეს — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს.
18. **იორდანდიას** ხარლამპი გიორგის-ძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა კვირიკეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
19. **კვირიკაშვილს** ზაქარია ისაკის-ძეს — „სამტრესტის" სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს
20. **მახარაშვილს** პეტრე დანიელის-ძეს — „სამტრესტის" სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსს
21. **მორალეევრს** ბორის ივანეს-ძეს — ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
22. **ნანაძეს** ვასილ ვლადიმერის-ძეს — ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
23. **ნანობაშვილს** თინათინ სიმონის ასულს — სამტრესტის ხარისის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.
24. **ნიკოლაიშვილს** გიორგი ოქროპირის-ძეს — წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
25. **საბაშვილს** ილია ივანეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს.
26. **სალიას** ნესტორ პეტრეს-ძეს — წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს.
27. **სვანიძეს** გრიგოლ მიხეილის-ძეს — წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტების კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
28. **სიხარულიძეს** ილია მიხეილის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
8. **გუგუნავას** ქესკინ ხუსეინის-ძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის კვირიკეს ცენტრსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
9. **დგვეფაძეს** მამანტი ივლიანეს-ძეს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
10. **დეკანოსიძეს** გიორგი სეფეს-ძეს — საგარეჯოს რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების" აგრონომს.
11. **დემეტრაძეს** არჩილ გიორგის-ძეს — საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
12. **დონდოლაძეს** გრიგოლ სერგის-ძეს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
13. **დუმბაძეს** ზაქარია რაჟდენის-ძეს — მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს
14. **ებანოიძეს** იოსებ მალაქიას-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიშიანი მეთესლეობის მთავარ აგრონომს.
15. **ზედგენიძეს** ირაკლი სოფრომის-ძეს — წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
16. **თავიდაშვილს** იაკინთე ერასტის-ძეს — რესპუბლიკური თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგეს.
17. **თოდუას** არჩილ ანდრიას-ძეს — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს.
18. **იორდანდიას** ხარლამპი გიორგის-ძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა კვირიკეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
19. **კვირიკაშვილს** ზაქარია ისაკის-ძეს — „სამტრესტის" სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს
20. **მახარაშვილს** პეტრე დანიელის-ძეს — „სამტრესტის" სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსს
21. **მორალეევრს** ბორის ივანეს-ძეს — ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
22. **ნანაძეს** ვასილ ვლადიმერის-ძეს — ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
23. **ნანობაშვილს** თინათინ სიმონის ასულს — სამტრესტის ხარისის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.
24. **ნიკოლაიშვილს** გიორგი ოქროპირის-ძეს — წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
25. **საბაშვილს** ილია ივანეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს.
26. **სალიას** ნესტორ პეტრეს-ძეს — წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს.
27. **სვანიძეს** გრიგოლ მიხეილის-ძეს — წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტების კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
28. **სიხარულიძეს** ილია მიხეილის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
29. **ტაკიძეს** მიხეილ ქრისტეფორეს-ძეს — მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
30. **ქარცივაძეს** კონსტანტინე ანტონის-ძეს — აჭარის ასსრ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.
31. **შევჩენკოს** თევდორე დანიელის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროს აგრონომს.
32. **ცქიტიშვილს** დავით ირაკლის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს მთავარ აგრონომს ციტრუსოვანი კულტურების დარგში.
33. **ჭიპაშვილს** ქსენია პარმენის ასულს — გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.
34. **ხომიზურაშვილს** ანა მიხეილის ასულს — თელავის მეაბრეშუმეობის საჯიშე სასელექციო სადგურის დირექტორს.
35. **ხუნდაძეს** გრიგოლ გრიგოლის-ძეს — ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.
36. **ჯიკაევს** ზაქარია ივანეს-ძეს — სტალინირის სახხილსანერგის უფროს აგრონომს.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები

საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმისა:

1. **ბახტაძეს** სამსონ შალვას-ძეს — დუშეთის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს.
2. **ბებიაშვილს** ლევან გიორგის-ძეს — გორის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს
3. **დიდიმამიშვილს** გაბრიელ მიხეილის-ძეს — ახალციხის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს
4. **თუთბერიძეს** ივანე არტემის-ძეს — თეთრიწყაროს რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს
5. **კოლელიშვილს** ვახტანგ გრიგოლის-ძეს — ახალქალაქის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს
6. **მამაიაშვილს** შალვა იორდანეს-ძეს — სამგორის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს
7. **მეძმარიაშვილს** ქეთევან ნიკოლოზის ასულს — დმანისის სარაიონთაშორისო ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგეს
8. **პაპიაშვილს** ანა სიმონის ასულს — სოღნაღის სარაიონთაშორისო ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგეს
9. **სიჭინავას** არტემ (ვლადიმერ) თადეოზის-ძეს — გურჯაანის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს

საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსისა:

1. **გოიშვილს** ალექსი ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის განყოფილების უფროსს
2. **დათიშვილს** სოლომონ დავითის-ძეს — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს
3. **ენუქიძეს** ალექსანდრე სილიბისტროს-ძეს — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ ზოოტექნიკოსს
4. **იოსელიანს** ვლადიმერ ონისიმეს-ძეს — წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
5. **ლომთათაძეს** ივანე სოლომონის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს
6. **მაყაშვილს** დიმიტრი ბიძინას-ძეს — დმანისის რაიონის ბაშკოვეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს
7. **ფერაძეს** შალვა ნიკოლოზის-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს
11. **ცერცვაძეს** კლავდია კონსტანტინეს ასულს — სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა:

1. **არუთინიანს** მარტინ ამაზარის-ძეს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ორჯის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
2. **ბაიდოშვილს** ივანე ვასილის-ძეს — სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
3. **ბულაცაშვილს** გიორგი ესტატეს-ძეს — მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
4. **დალაქიშვილს** ტიგრან სარქისის-ძეს — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
5. **დოლიძეს** გიორგი ივანეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
6. **კაპარავას** რაჟდენ ალექსანდრეს-ძეს — აბაშის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს
7. **კახიას** შოთა ალექსანდრეს-ძეს — სართიჭალის სარაიონთაშორისო მანქანათსამელიორაციო სადგურის დირექტორს
8. **კონცელიძეს** მემედ ფეზლის-ძეს — მახარაძის, რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსს
9. **კობრეიძეს** ალექსანდრე სპირიდონის-ძეს — მცხეთის სარემონტო-ტექნიკური სადგურის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსს
10. **კურდღელაშვილს** ნასყიდა ნინიას-ძეს — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კოლმეურნეობის ტრაქტორისტს
11. **ლაზარიაშვილს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — სიღნაღის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს
12. **მამედოვს** მოლა სულეიმან-ოღლის — მარნეულის რაიონის სოფელ ხანჯაგაზლოს მევენახეობის სანერგე საბჭოთა მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი აღაფრთოვანებს ხალხებს

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკაში მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრშია

ვისთვისაც კი ძვირფასია ხალხთა შორის მშვიდობა, თანამშრომლობა და მეგობრობა, ყველას გულისყური მიპყრობილია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკა და ამერიკელი ხალხი პირველად ხვდებიან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. ეს ვიზიტი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო ამერიკელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, არამედ ყველა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაშიც. ამ მოვლენაზე მოუთხრობს მკითხველებს დღეს მსოფლიოს ყველა გაზეთი. ამ მოვლენაზე პოლუსიდან პოლუსამდე ყველა ტალღაზე და ყველა ენაზე ხმამაღლა ლაპარაკობს რადიო.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან შეხვედრები ერთხელ კიდევ დაანახვებს მსოფლიოს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ბოლომდე ერთგულია ხალხთა შორის მშვიდობის, თანაარსებობის და მეგობრობის დიადი საქმისა.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეთა პირად კონტაქტებს, ამჟამად, როცა აუცილებელი ხდება განხილულ და გადაჭრილ იქნას რთული საერთაშორისო საკითხები, სახელმწიფოს მეთაურთა პირადი კონტაქტები დიდად უწყობს ხელს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

გაზეთების რედაქციებში შემოდის სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა წერილები, რომლებშიც გამოთქმულია დიდი აღტაცება, სიხარული და იმედი. ეს წერილები მთავრდება კეთილი სურვილებით: **გზა მშვიდობისა!**

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.



ნახატი გ. ლომაძისა.

გზა მშვიდობისა

კარგი პირი უჩანს წლევანდელ შემოდგომას. პოლიტიკური ბარომეტრი მშვიდობას გვიჩვენებს. ვფურცლავ გაზეთებს, ვუსმენ რადიოს და გული სიხარულით მეევსება, რომ თანდათან ნელდება საერთაშორისო დაძაბულობა, დნება „ცივი ომის“ ყინული, ათეული წლის მანძილზე რომ გულზე აწვა კაცობრიობას.

დათბა, გამოიდარა, ამინდი შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეთაურის ამხანაგ ხრუშჩოვის სტუმრობას პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან მოუთმენლად ელოდება მთელი მსოფლიო. კარზე დგას ამ ისტორიული შეხვედრის დღეც. ხალხებს სჯერთ, რომ ამ შეხვედრით ასრულდება კეთილი ნების ადამიანთა ნატვრა — მშვიდობა დაამარცხებს ომს, გაიფანტება ომის პირქუში ღრუბლები დედამიწის ხუთივე კონტინენტზე.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, საამაყოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ამერიკაში გამგზავრების წინა თვეს სამშობლოში მოიხახელა და თანამგზავრად ამოირჩია სახელგანთქმული საბჭოთა მწერალი მიხეილ შოლოხოვი. უდიდესი სახელმწიფოს მეთაურმა იმის დროც იპოვნა, რომ შორიელ სტანიცაში ჩასულიყო, გასცნობოდა დიდი მწერლისა და მისი გმირების ცხოვრებას. მისი აქ წარმოთქმული სიტყვა ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, შთაგვაგონებს მტკიცე კავშირი ვიქონიოთ ხალხთან, ვიყოთ მისი შრომითი გმირობის ამსახველი, ახალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღმზრდელი.

საბჭოთა მწერლების, მთელი ჩვენი ხალხის სურვილია ვუთხრათ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ამ ისტორიული გამგზავრების წინ გულთბილი სიტყვა:

გზა მშვიდობისა!

ა. ლორთქიფანიძე,
მწერალი.

მათ შეჰყურებს მსოფლიო

მშვიდობა და მეგობრობა ხალხთა სანუკვარი ოცნებაა. მშვიდობას ესწრაფვიან კეთილი ნების ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში.

მოახლოვდა მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურების ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის შეხვედრის დღეები.

მთელი კაცობრიობა იმედით შეჰყურებს ამ ისტორიულ შეხვედრას, რომელმაც საბოლოოდ უნდა გაფანტოს საავდრო ღრუბლები, სამუდამოდ გაადნოს „ცივი ომის“ ყინული.

ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მოუთმენლად ველოდებით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამგზავრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი. ამის საუკეთესო დასტურია ის ფაქტი, რომ ამერიკაში გამგზავრების წინ მან გამონახა დრო და მშობლიურ სტანიცაში ინახულა დიდი საბჭოთა მწერალი მ. ა. შოლოხოვი. ყველას გულში ჩაგვეჭედა ჩვენი ქვეყნის მეთაურის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორის სამშობლოში.

„ჩვენი პარტია, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, მიაჩნია მწერლები თავის აქტიურ და ერთგულ თანაშემწეებად მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ახლა, როცა ჩვენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შევედით, ხელოვნების ეს როლი განსაკუთრებით იზრდება“.

ხრუშჩოვის ეს სიტყვები დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის რაზმავს მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს. ჩვენ მშვიდობა, ხალხის სამსახური გვინდა. ჩვენი ნატვრაა „ცივი ომის“ მოსპობა მთელ მსოფლიოში. ამ მიზანს ისახავს ხრუშჩოვის ვიზიტიც პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან. მთელი მსოფლიოს სურვილია ამ შეხვედრის წარმატებით დაგვირგვინება.

ვახტანგ ჭაბუკიანი,
ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

კეთილად გევლოთ...

ფრთები შეესხა არწივის
ხალხთა ფიქრსა და ნებასა.
მშვიდობის გასამარჯვებლად
გისურვებთ გამარჯვებასა!..

დღეს ყველა, ვინც მზეს შეჰყურებს,
ამ ხმის დარხევას შევხვარით.
თქვენი შეხვედრა იქნება
მსოფლიო ძმობის მერცხალი.

კეთილად გევლოთ მუდამყამს
დიდი გზა დაგაულებია.
მშვიდობით ჩადიო, მშვიდობით
გვენახეთ დაბრუნებული.

თქვენი შეხვედრა სიცოცხლის
ახალ გაზაფხულს ედაროს
მშრომელთა გამხარებელი
ამბავი ჩამოგეტანოთ!..

სიკო ჩანგაშვილი,
ხალხური მთქმელი.

ამერიკელ ადამიანებს

მთელი მსოფლიო უკვე დიდი ხანია გრძნობს ხალხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შეცვლის საჭიროებას. ეს ურთიერთობა უნდა უმჯობესდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამ საქმეში ყოველი წარმატება სასიხარულოა. და ვფიქრობ, რომ ბ-ნ ხრუშჩოვის შეხვედრას ეიზენჰაუერთან ბევრი რამ მოჰყვება.

ეს შეხვედრა ჩვენი დროის ერთ-ერთი უშანსანშნავესი პოლიტიკური მოვლენა იქნება. და სასურველია, რომ ამის შემდეგ გაიმართოს თათბირი უმაღლეს დონეზე.

ვ. ლოგინოვი,
ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატი.

* * *

როცა ჩემს სამშობლოში შეიტყეს, რომ ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვი დ. ეიზენჰაუერისთვის ვიზიტის გასაკეთებლად მიდის, ყველას ძალიან გაუხარდა. ჩემი საარჩევნო ოლქი შორეულ ქალაქ კუტნა-გორაშია. მე ზზირად ვარ ჩემს ამომრჩეველებთან, ვესაუბრები მათ. ისინი ყველანი მოელიან, რომ ეს შეხვედრა გამოიწვევს დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში. მოელიან და სწამთ ეს. ჩემმა ამომრჩეველმა იციან, რომ ნიკიტა სერგის-ძე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის მხურვალე სურვილით — შეიტანოს წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩემი ამომრჩეველების სახელით და ჩემი მხრივ ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

გ. ლეფლეროვა,
ჩეხოსლოვაკიის საპარლამენტოაშორის ჯგუფის თავმჯდომარე.

* * *

როცა ფინეთში შეიტყეს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ხკანდინავიაში და შემდეგ ფინეთში არ შედგება, ამან დიდი უკმაყოფილების გრძნობა გამოიწვია, განსაკუთრებით მშრომელთა შორის. ფინეთის ბევრ ქალაქსა და სოფელში ემზადებოდნენ იმისათვის, რომ შეხვედროდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, უნდოდათ მეეწვიათ თავისთან თუნდაც ერთი საათით.

ფინეთში გაუხარდათ, როცა შეიტყეს რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება.

პირადად მე ქალაქ ჰელსინკის ბევრი მუშა მეუბნებოდა: „აი ეს კარგია! დაე ნუ წავა სკანდინავიაში, სადაც იმპერიალისტების ლაქიებს უნდოდათ სისაძაგე ჩადენთან მის მიმართ. დაე პირდაპირ ამერიკაში წავიდეს. ეს სასარგებლოა მშვიდობისათვის, ეს სასარგებლოა ჩვენი ხალხისთვისაც. ჩვენ მას კიდევ ვნახავთ. ჩვენ ხომ მეზობლები ვართ. მთავარია ის, რომ „ცივ ომს“ ბოლო მოეღოს და საერთაშორისო ვითარება გაუმჯობესდეს“.

დარწმუნებული ვარ, რომ ასე ფიქრობს ყველა გონიერი ადამიანი ფინეთში.

ჰერტა კუუსინენი,
ფინეთის პარლამენტის დეპუტატი.

* * *

ამ ვიზიტისაგან ჩვენ ძალიან ბევრ რამეს მოველით. თვით ის ფაქტი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი და დ. ეიზენჰაუერი ერთმანეთს ხვდებიან მოწმობს დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ვითარებაში და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კეთილ ნებას. შეხვედრა უთუოდ შეუწყობს ხელს შემდგომ დათბობას საერთაშორისო ურთიერთობაში. აქ, გვკერა, განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც არა მარტო ღრმად იცნობს პრობლემებს, არამედ დიდად მომხიბლველიც არის. იგი ადამიანებს იზიდავს, სიმპათიასა და ნდობას იწვევს.

ეჟი იოდლოვსკი,
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ვიცე-მარშალი.

უცხოელი მოღვაწეები იწონებენ ორი მთავრობის მეთაურთა მომავალ შეხვედრებს

ამერიკელ ადამიანებს

მთელი მსოფლიო უკვე დიდი ხანია გრძნობს ხალხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შეცვლის საჭიროებას. ეს ურთიერთობა უნდა უმჯობესდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამ საქმეში ყოველი წარმატება სასიხარულოა. და ვფიქრობ, რომ ბ-ნ ხრუშჩოვის შეხვედრას ეიზენჰაუერთან ბევრი რამ მოჰყვება.

ეს შეხვედრა ჩვენი დროის ერთ-ერთი უშანსანშნავესი პოლიტიკური მოვლენა იქნება. და სასურველია, რომ ამის შემდეგ გაიმართოს თათბირი უმაღლეს დონეზე.

ვ. ლოგინოვი,
ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატი.

* * *

როცა ჩემს სამშობლოში შეიტყეს, რომ ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვი დ. ეიზენჰაუერისთვის ვიზიტის გასაკეთებლად მიდის, ყველას ძალიან გაუხარდა. ჩემი საარჩევნო ოლქი შორეულ ქალაქ კუტნა-გორაშია. მე ზზირად ვარ ჩემს ამომრჩეველებთან, ვესაუბრები მათ. ისინი ყველანი მოელიან, რომ ეს შეხვედრა გამოიწვევს დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში. მოელიან და სწამთ ეს. ჩემმა ამომრჩეველმა იციან, რომ ნიკიტა სერგის-ძე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის მხურვალე სურვილით — შეიტანოს

ბოლო მოეღოს ცივ ომს

ინდოეთის მთავრობის მეთაურთა მომავალ შეხვედრებს

ეგვიპტელ ადამიანებს

ამერიკელ ადამიანებს

ინგლისელ ადამიანებს

ბელგიელ ადამიანებს

ბულგარელ ადამიანებს

ალბანელ ადამიანებს

ჩეხ ადამიანებს

ფინელ ადამიანებს

ბრაზილიელ ადამიანებს

ინდოელ ადამიანებს

ინდონეზიელ ადამიანებს

ბირმელ ადამიანებს

ეგვიპტელ ადამიანებს

ალბანელ ადამიანებს

ბულგარელ ადამიანებს

ინგლისელ ადამიანებს

**ბელგი

გზას გვილოცავდა მტკვარი, რიონი...

ელგაჟიძის დაღმართთან, სტალინის სახელობის სანაპიროზე, ლამაზი შენობების ირგვლივ მრავალი სამგზავრო ავტობუსი და მსუბუქი ტაქსი დგას. აქედან ისინი სხვადასხვა მიმართულებით იღებენ სტარტს. ახლო რაიონებისა და ქალაქების გარდა კომფორტაბელური ავტობუსით შეგიძლიათ გაემგზაროთ ბაქოში, ერევანში, კისლოვოდსკში...

დღემდე ქუთაისამდე შეგვეძლო მატარებლით და თვითმფრინავით მგზავრობა. რა თქმა უნდა, ავტობუსითაც, მაგრამ ეს ხომ სარეისო მანქანა არ იქნებოდა... კეთილმოწყობილი გახდა გზა სურამის უღელტეხილზე. დაინიშნა რეგულარული მარშრუტი თბილისი-ქუთაისი. პირველი მგზავრობა 9 სექტემბერს მოხდა.

რიერაქიძ. სწრაფმავალი ოცდათორმეტადგილიანი ავტობუსი „ზილ-127“ მოსწყდა ადგილს. უკან მოიტოვა ჭაღარა დედაქალაქი. ჩავუქროლეთ ზაჰეს, ჯვარის მონასტერს, მტკვრისა და არაგვის შესართავთან უძველეს დედაქალაქს მცხეთას. ავუყვეთ მშფოთვარე არაგვის ხეობას, რომლის მარცხენა ნაპირიდან, წიწამურის ბოლოდან შემოგვყურებს დიდი ილიას ობელისკი.

თბილისიდან 30 კილომეტრის გავლის შემდეგ დავტოვეთ „მობინინე არაგვის პირნი“. ხელმარჯვნივ დარჩა სამხედრო გზა. მიექრით მუხრანის ნოყიერ ველზე, ბალავენარებს რომ დაუფარავს. ულამაზესი სანახავია დანაბდული ვენახებით დამძიმებული ველი.

ზვრებს, სიმინდს ნათესები ცვლის, ხოლო კომბოსტოს და ჭარხლის პლანტაციებს — ვაშლისა და ატმის ბაღები. რა სჯობს ქართლის დილას. აქ მარილაც რომ „კოხტა ბიჭივით ამრდის ცისკარი ახალ ჩოხაში“... „ტოროლების ტაშის კვრაში“ გვეგებება ქართლის დილა. ფოთლებიდან გვიღიმის ლოყაწითელა ვაშლი და ყვითული ატამი.

გზატკეცილის ორივე მხარეს უკან გვრჩება ქართლის სოფლები, რომლებიც წარსულთან და აწმყოთი გახსენებენ თავს. აი, თუნდაც სამთავისი, რომელსაც წარსულში სახელი უძველესმა ტაძარმა გაუთქვა. ახლაც ბევრი აქვთ აქაურებს სატრაბახო და დასაქადნი. მათ ხომ ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს კომუნა ჩვენს რესპუბლიკაში. არც ახლა ჩამორჩებიან საკოლმეურნეო ცხოვრების ფეხრულს.

დიზელი ისა კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის, თვალის დახამხამებაში ქართლის გულში — გორში ვართ. ქონგურებიანი ამაყი ციხე წარსულის ბურჯად დგას ქართლში, სადაც მოდუდუნე მტკვარი და ცელქი ლიახვი ერთმანეთს გულში იკრავენ, რმ ადგილას გორის ბამბეულის კომბინატის კორპუსები, მუშათა საცხოვრებელი სახლებია აშენებული. ეს ყოველივე ხომ ჩვენს თვალწინ გაშენდა, იგი ხომ სოციალისტური ეპოქის პირმშოა. გორელი ფეიერების მიერ მოქსოვილი ფარჩეული დიდად მოსწონთ მომხმარებლებს, აქაურ საქონელს მრავლად იღებენ ბალტიისპირეთისა და შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და დასავლეთ ციმბირის უნიეერმაღები.

დიზელმა რამდენიმე წუთში დაფარა რუსისს გადასასვლელი. აქედან იშლება ქართლის სოფლების ულამაზესი სურათები. თქვენს ფეხქვეშ გაწოლილა უზარმაზარი დაბლობი, რომელზეც ვერცხლისფრად მბზინავი მტკვარი მოედინება, აქვე რკინიგზის ხაზზე ზათქითა და ხმაურით მიმოდიან სატვირთო და სამგზავრო მატარებლები.

კეთილმოწყობილი სამანქანო გზა სოფელ ურბნისთან გადის. ვის არ გაუგონია და არ წაუკითხავს ამ უძველესი ყოფილი ქალაქის შესახებ, სადაც ბავშვობის უმეტესი წლები გაუტარებია დავით აღმაშენებელს. ერთმანეთზეა მოყოლებული სოფლები რუისი, კარალეთი, ბრეთი, რომელთა საკოლმეურნეო ბაღებში ვაშლის ხეები ისეა დატვნძლული, რომ კაცს ეგონება, სადაც არის წელში გადატყდებაო.

გავდივართ მორაკრაკე პატარა მდინარეების — ფრონის, ფცის ხიდებზე. ვუახლოვდებით აგარას, რომელიც ცნობილია თავისი შაქრის ქარხნით. პატარა აგარასაც შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის ინდუსტრიის საქმეში.

ნახევარი გზა განვლილთ და რკინიგზის საკვანძო ქალაქ ხაშურში შევედით. უზარმაზარი დიზელი კი არა, ხაშურიდან დასავლეთ საქართველოსაკენ დღემდე სამგზავრო მცირე მოცულობის ავტობუსების რეისიც კი არ იყო. დიზელმა პირველად სურამელებს მიიყოლია, და მათაც ზურაბის ციხესთან ერთად გაუღიმეს, კარი გაუღეს და კეთილი მგზავრობა უსურვეს.

სურამის უღელტეხილზე ასვლამდე შემოგვეხვია სოფელ-ჩუმათელთი. აქედან შეუმჩნევლად იწყება უღელტეხილი.

„მთები აჭრელდა, როგორც ყირაფი,
მატარებელი მიქრის, ბინდდება,
ახლა იწყება წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

ეს ლექსი ამ მდგამოებმა განაცდევინა, აგრძნობინა გალაკტიონს. მაგრამ ჩვენ მატარებლის ნაცვლად კომფორტაბელური დიზელით, გვირაბის ნაცვლად უღელტეხილზე გამავალი გზით მივდიართ ლიხს გადაღმა. უღელტეხილი შემოდგომის სასიამოვნო მზით შემოგვეგება. მზის სხივები ათასნაირ ფერს გამოსცემდა დაკლაკნილ გზაზე.

მივაღწიეთ ზღვის დონიდან 1.150 მეტრს — უმაღლეს წერტილს ამ გზაზე. ხელისგულივით გადაიშალა კოლხიდის დაბლობი, რომელსაც წვერი ზედ სურამის ქედის კალთებამდე მიუბჯენია. თვალი დავაშვეთ. შრიალებს წაბლისა და წიფლის ასწლოვანი ხეები. მოხიბლულია ჩვენი თანამგზავრი მოსკოველი პროფესორი ევგენი სემენიდო, რომელიც დასასვენებლად წყალტუბოში მიდის.

— ნეტავ კიდევ თუ მოვესწრები ასეთი სილამაზისა და ბუნების ნახვას, — თავს კმაყოფილებით აქნევს, თან მძღოლს თხოვს მანქანა ცოტა ხანს შეაჩეროს. პროფესორი მოჩუხჩუხე ანკარა, ცივ წყაროს ეწაფება.

ზოგან გორებს ნისლი შემოხვევია, რომელიც ნანგრევების ჩრდილს ჩამოჰგავს. დაბლა ჩხერიმელას ხევი დევის ნამუხლარივით დაშვებულა. მორაკრაკეს პატარა ჩხერიმელა და უნებლიეთ მაგონდება: „ჩხერიმელა დელიაო, წყალი შემომელიაო“... ამას გულმოკლული ქართველი გლეხი მღეროდა პაპანაქება სიცხეში, როცა ზაფხულის ხვატი და გვალვა მიდამოს ხრუკავდა.

დიზელის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ სოფლების ხევის, ხუნევის, ღორეშას, ბორითის მცხოვრებლები.

სოფელ შრომაში შევედით. ოდითგანვე განთქმულია შრომული ქვევრები, ჯამები, ჭიჭილები, აქაური ნახელავი ჯამ-ჭურჭელი ორიგინალობით, სილამაზით ბროლისასაც კი უწევს მეტოქეობას. შრომიდან გავდიოდით, როცა შორიდან მომავალი ორი ურმი გამოჩნდა. მეურმეები დიზელს გზაზე გადაუდგნენ.

— საიდან მოდიხართ: შრომაში ამოდენა ავტობუსი? — შემოძახ ე ს კაბინაში მძღოლს.

ვარლამ მარგიშვილმაც არ დააყოვნა, კაბინიდან თავი გადაჰყო, — აწი თავს არ მოგაწყენთ, ყოველდღე ჩამოვივლით თქვენს ჭიშკართან. ხოლო გახარებულ მეურმეებს მეორე მძღოლმა ესტატე პარასკევო